ქებული იყოს იესოს სახელი!
ძვირფასო კათოლიკე მორწმუნენო, განსაკუთრებით თქვენ, ვინც იტანჯებით იმ გაუგონარი კრიზისის გამო, რომელსაც ჩვენი წმიდა დედა ეკლესია განიცდის! ძვირფასო კათოლიკე მამებო და დედებო! ძვირფასო კათოლიკე ახალგაზრდებო! ძვირფასო უდანაშაულო კათოლიკე ბავშვებო! და, პირველ რიგში, საყვარელო მჭვრეტელო მონაზვნებო, ეკლესიის სულიერო მარგალიტებო! ძვირფასო კათოლიკე სემინარიელებო! ძვირფასო კათოლიკე მღვდლებო, რომლებიც წარმოადგენთ „იესოს წმინდა გულის სიყვარულს“!
ეკლესიაში არსებულმა რთულმა მდგომარეობამ იქამდე მიაღწია რომ, უფალეს ესთერის სიტყვებით უნდა შევთხოვოთ «არ გვაქ შველა შენ გარდა» (ესთ 4.31) ღვთისმშობელი მარიამის უმანკო გულისადმი ყოველდღიური ლოცვით, შევთხოვოთ უფალს წმიდა პაპები. მეფსალმუნეს სიტყვებით შევღაღადოთ მას:«გამოიღვიძე, რატომ გძინავს, უფალო? გამოფხიზლდი, სამუდამოდ ნუ მიგვატოვებ».(ფს.43,23).

18 იანვარი 2024, რომში წმინდა პეტრეს საყდრის უძველესი დღესასწაული
+ ათანაზიუს შნაიდერი, დამხმარე ეპისკოპოსი, უწმიდესი მარიამის არქიეპარქია, ასტანა, ყაზახეთი.

წმინდა პაპების სავედრებელი ლოცვა

Kyrie Eleison! Christe Eleison! Kyrie Eleison! უფალო იესო ქრისტე, კეთილო მწყემსო, შენი ყოვლისშემძლე ხელით წარმართავ შენს მიმლოცველ ეკლესიას, ყოველი ეპოქის ქარიშხლებში.

დაამშვენე წმინდა საყდარი წმიდა პაპებით, რომელთაც არ აშინებთ ძლიერნი ამა ქვეყნისანი და არც დათმობებზე მიდიან ეპოქის სულისკვეთებით, არამედ სისხლის ფასად ინარჩუნებენ, განამტკიცებენ და იცავენ კათოლიკურ სარწმუნოებას, აღასრულებენ, იცავენ და გადასცემენ რომის ეკლესიის საღვთო ლიტურგიას.

უფალო, დაგვიბრუნდი წმინდა პაპების მეშვეობით, რომელნიც მოციქულთა ერთგულებით აღტკინებულნი უცხადებენ მთელ სამყაროს: «ცხადი იყოს ყველა თქვენგანისა და მთელი ისრაელის ხალხისათვის, რომ იგი თქვენს წინაშე ჯანმრთელი დგას იესო ქრისტე ნაზარეველის სახელით, რომელიც თქვენ ჯვარს აცვით და რომელიც ღმერთმა აღადგინა მკვდრეთით. ეს არის ქვა, რომელიც უკუაგდეთ თქვენ,

მაშენებლებმა, და რომელიც ქვაკუთხედად იქცა. სხვაში არავისში არ არსებობს ხსნა, არც არის ცის ქვეშ ხალხისათვის მიცემული სხვა სახელი, რომლითაც გადავრჩებით» (საქ. 4, 10-12)

წმინდა პაპების ეპოქის წყალობით, დაე, წმინდა საყდარმა, რომელიც სამშობლოა ყველასი, ვინც ხელს უწყობს კათოლიკურ და სამოციქულო რწმენას, მუდამ იბრწყინოს, როგორც ჭეშმარიტების კათედრამ მთელი მსოფლიოსათვის. შეისმინე ჩვენი უფალო, ეკლესიის დედის ღვთისმშობელი მარიამის უმანკო გულის შუამდგომლობით, მოგვეც წმიდა პაპები, მოგვეც მრავალი წმიდა პაპი! შეგვიწყალე ჩვენ და შეისმინე ჩვენი უფალო!